



გიორგი მგელი

რაჟდენ არსენიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან

*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას
რაჟდენ არსენიძის კულტურისა და ცოდნის ბეჭედი აზის.*

ნოე ცინცაძე

„ჩვენი დროშა“, პარიზი, 1965, N: 43, გვერდი 6

რაჟდენ არსენიძე (1880-1965) საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია რაჟდენ არსენიძის იდეებითაა გაჟღერებული. სწორედ პირველ კონსტიტუციაში მოხდა მისი ინტელექტუალური მემკვიდრეობის დაუნჯება.

თუმცა, საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ავტორობაც იკმარებდა.

რაჟდენ არსენიძის ცხოვრება და მრავალმხრივი მოღვაწეობა კარგადაა შესწავლილი¹, თუმცა მისი, როგორც გამოჩენილი იურისტის ღვაწლი, ჯერ კიდევ სათანადოდ არაა შეფასებული. როგორც პიროვნებამ, სამართალმცოდნემ, სახელმწიფო მოღვაწემ და კანონმდებელმა თვალსაჩინო როლი შეასრულა პირველი რესპუბლიკის სამართლებრივი სისტემისა და პირველი ქართული კონსტიტუციის პროექტის შედგენის საქმეში². მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან ასევე სამართლის არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ მისი საკანონმდებლო ტექნიკის განვითარების მხრივ³.

1. გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი III, თბილისი, 1993.

2. იგი იყო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს საკონსტიტუციო და იურიდიული კომისიების თავმჯდომარე.

3. როგორც დამფუძნებელი კრების სარეგლამენტო, სარედაქციო და ხელოვნების კომისიების, ასევე საკონსტიტუციო კომისიასთან არსებული ქვეკომისიის წევრმა.

ჩვენი მიზანი ნამდვილად არ არის სამართლებრივ სფეროში რაჟდენ არსენიძის ღვაწლის მთლიანი აღწერა და შეფასება. წარმოდგენილი პუბლიკაციის ფარგლებში ვცდილობთ, ნაწილობრივ მაინც წარმოვაჩინოთ მისი როლი პირველი ქართული კონსტიტუციის პროექტის ჩამოყალიბებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რაჟდენ არსენიძე საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის ერთ-ერთი სანიმუშო *კონცეპციის* შემდგენელია. მისი შეხედულებები საფუძვლად დაედო კონსტიტუციის არაერთ დებულებას.

რაჟდენ არსენიძის იდეების შესწავლის მიზნით ძირითადად ვიყენებთ შემდეგ წყაროებს: მის წიგნს „*დემოკრატიული რესპუბლიკა*“, რომელიც 1917 წელს გამოიცა და წინ უსწრებდა ყველა იმ ნაშრომს, რომელიც ქმნიდა აგრეთვე პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციისათვის კონცეპტუალურ საფუძვლებს⁴; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის სხდომების *სტენოგრაფიულ ჩანაწერებს*, სადაც იკვეთება რაჟდენ არსენიძის მაღალკვალიფიციური პოზიცია საკონსტიტუციო დებულებებთან დაკავშირებით; კონსტიტუციის პროექტის ცალკეული თავის იმ *კომენტარებს*, რომელთა ავტორი თავად რაჟდენ არსენიძე გახლდათ. ის ფაქტი, რომ მომავალი ძირითადი კანონის კომენტარებს მას სთავაზობენ (მკითხველი თავად დარწმუნდება, როდესაც გაეცნობა კონსტიტუციის პროექტის ორი თავის – „პარლამენტი“⁵ და „აღმასრულებელი ხელისუფლება“⁶ – თეზისებს⁷), მეტყველებს მის ღრმა მეცნიერულ და დოგმატურ განსწავლულობაზე საკონსტიტუციო საკითხებში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საკონსტიტუციო ნორმების ინტერპრეტაციას სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი; *კონსტიტუციის იმ დებულებებს*, რომლებიც, ერთი მხრივ, რაჟდენ არსენიძის იდეების საფუძველზე აისახა და, მეორე მხრივ, უშუალოდ მის მიერ დაიწერა. ის ავტორია საქართველოს პირველი კონსტიტუციის ორი თავისა: „პარლამენტი“ და „აღმასრულებელი ხელისუფლება“⁸, რომლებსაც თავიდანვე სანიმუშო პროექტებს უწოდებდნენ⁹.

რაჟდენ არსენიძე კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებას განსაკუთრებულ

4. მაგალითად, *ნოე ჟორდანია*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია. 1918; *კონსტანტინე მიქელაძე*, დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა. 1918; პავლე საყვარელიძე (რომელიც *ნ. საქარელის* ფსევდონიმით წერდა), წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე. 1920; *გიორგი გვაზავა*, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა. 1920, და სხვა.

5. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმე 182, ფურცელი 50-61.

6. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმე 76, ფურცელი 14-20.

7. გამოყენებულია სიტყვა „თეზისები“, ასევე გვხვდება „იურიდიული კომენტარები“ და „განმარტება“ (წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმე 76, ფურცელი 27).

8. საქართველოს კონსტიტუციის პროექტები, საზოგადო დებულებანი. გაზეთი „ივერია“, 1919 წელი, 27 დეკემბერი.

9. იხ. „პარლამენტი“, სანიმუშო პროექტი (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1836, საქმე 420, ფურცელი 48-49); „აღმასრულებელი ხელისუფლება“, სანიმუშო პროექტი (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმე 728, ფურცელი 97-101).

მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნისათვის. ეს ჩანს კიდევაც მისსავე სიტყვებში: „სახელმწიფო დაწესებულებების სიაგვარგე ამ კონსტიტუციის სიაგვარგეზეა დამოკიდებული. ამიტომ იგი ჩვენგან ორკეცი ყურადღების ღირსია“.

რაჟდენ არსენიძის იდეური სულისკვეთება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის თანმდევა. უმთავრესი და ძირითადი, რაც საკონსტიტუციო კომისიას უნდა გადაეწყვიტა, პოლიტიკური რეჟიმისა და მმართველობის საკითხი იყო, რომელშიც რაჟდენ არსენიძის პოზიცია ცალსახად გამოიკვეთა: არა რესპუბლიკა, არამედ „დემოკრატიული რესპუბლიკა“, ვინაიდან „რესპუბლიკა“ სახელმწიფოს მხოლოდ ფორმას განსაზღვრავს, ხოლო „დემოკრატიული“ – მის შინაარსს. ამიტომ 1917 წელს გამოცემულ წიგნში ის რესპუბლიკურის დემოკრატიულთან შეხამებას მოითხოვდა, რაც აისახა კიდევაც პირველი კონსტიტუციის პირველივე მუხლში, რომლის თანახმად, პოლიტიკური წყობილების ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა. იმავე სულისკვეთებისაა საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი ქვეპუნქტი: საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა. მონარქიისადმი მისი ნეგატიური დამოკიდებულება გამოიხატა მისსავე სიტყვებში: „ხალხს მეფე არ სჭირდება“, „ჭკვიანი მეფე, ისევე როგორც უჭკუო, დიდი უბედურებაა ხალხისთვის“, „ჩვენი მიზანია უმეფო წყობილება“, სადაც ტახტი გაუქმებულია და მთელი მართვა-გამგეობა ხალხისგან არჩეული პირების ხელშია, ანუ „რესპუბლიკანური წყობილება“¹⁰, რომელიც პირველი კონსტიტუციით „მუდმივ და უცვლელ ფორმად“ გამოცხადდა.

რაჟდენ არსენიძის უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში განსაკუთრებით ორი ინსტიტუტისადმი იკვეთება. ესენია *ორპალატიანი პარლამენტი* და *პრეზიდენტი*. მისი აზრით, დემოკრატიაში ორპალატიან სისტემას „სრულიად არავითარი გავლენა არ აქვს“, „ხალხისთვის გამოუსადეგარი ან პირდაპირ მავნებელია“, „სრული უაზრობა და წყლის ნაყვია“, „პროგრესული კანონმდებლობის მუხრუჭია“, „ართულებს სახელმწიფო მექანიზმს“, „სოციალური კანონმდებლობის მტერია“, „ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპს“ და „ითხოვს მხოლოდ ხარჯს“, „ორპალატიან რესპუბლიკას დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ დაერქმევა“. ორპალატიანი პარლამენტის წინააღმდეგ რაჟდენ არსენიძემ საკუთარი დამატებითი არგუმენტები წამოაყენა ასევე საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 28 თებერვლის სხდომაზე, სადაც მან ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გაილაშქრა და აღნიშნა, რომ იგი მხოლოდ ფედერაციული სახელმწიფოებისთვის იყო დამახასიათებელი¹¹. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კომისიის წევრები ორპალატიანი პარლამენტის წინააღმდეგ გამოსვლისას

10. საინტერესოა ადრინდელი პრესის ფურცლებზე მის მიერ გამოქვეყნებული სტატიები დემოკრატიულ წყობილებაზე. ერთ-ერთ წერილში ის აღნიშნავს, რომ „ჩვენი მიზანია დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება“ (გაზეთი „ტალღა“. 1906 წელი, 1 აგვისტო).

11. საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 1836, საქმე 46, ფურცელი 13.

ძირითადად ეყრდნობოდნენ რაჟდენ არსენიძის პოზიციას. საბოლოოდ, საქართველოს კონსტიტუციით ორპალატიანი სისტემა უარყოფილია.

რაჟდენ არსენიძემ პირველმა დაგმო პრეზიდენტის ინსტიტუტი: „პრეზიდენტის უფლება წარმოსდგება მეფის უფლებიდან“, „იგი არჩეული მეფეა“, „მეფე „ღვთისაგან რჩეულია“, პრეზიდენტი კი ხალხისაგან“, „განა არ შეუძლია ამ ნდობას დაეყრდნოს და ძალაუფლების სამუდამოთ შენარჩუნება მოისურვოს?“, „ანდა რისთვის უნდა მოვახდინოთ არჩევნები, გავწიოთ აგიტაცია, დავკარგოთ დრო და ენერჯია? მხოლოდ იმისთვის, რომ ერთ ადამიანს საპატიო და კარგი ჯამაგირიანი ადგილი მოვუპოვოთ?“, „პრეზიდენტი სრულიად ზედმეტია... ხალხს ბატონად მოველინება“, „ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევს, მისი პარადები, სასახლეები, მეჯლისები და სხვ. ხალხის ჯიბეს დააწვება ტვირთათ“, „პრეზიდენტი გამოადგება ბურჟუაზიას და არა ფართე დემოკრატიულ საზოგადოებას“ და ამიტომ „ჩვენ გვინდა რესპუბლიკა უპრეზიდენტო“. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე რაჟდენ არსენიძემ მხარი დაუჭირა მთავრობის თავმჯდომარისათვის პრეზიდენტის ზოგიერთი უფლებამოსილების მინიჭების საკითხს¹², შესაბამისად, საქართველოს პირველ კონსტიტუციაში პრეზიდენტის ინსტიტუტი უარყოფილია.

რაჟდენ არსენიძე ეხება უშუალო და წარმომადგენლობითი კანონმდებლობის (დემოკრატიის) საკითხს. მისთვის პირდაპირი კანონმდებლობა „ყველაზე უფრო დემოკრატიულია“, მაგრამ, ვინაიდან, ხალხის სიმრავლის გამო ეს დღეს შეუძლებელია, „ერთათ ერთი საშვალეა კანონმდებლობის წარმომადგენლების საშვალეებით კანონმდებლობა“. მისი ეს მოსაზრება აისახა კიდევაც პირველი კონსტიტუციის 46-ე მუხლში, სადაც ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის საქართველოს პარლამენტი“. იმისათვის, რომ „სახელმწიფო წყობილებას ნამდვილი დემოკრატიული ხასიათი მიეცეს და ხალხის ინტერესები დაცული იქნეს“, საჭიროა ინიციატივის შემოღება, ასევე „თუ მცხოვრებთა განსაზღვრული ნაწილი მოითხოვს, კანონპროექტი შეიძლება ხალხს გადაეცეს რეფერენდუმის საშვალეებით გადასაწყვეტათ“. მსგავსი შინაარსის ნორმა მოცემულია პირველი კონსტიტუციის 64-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ ოცდაათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმით ხალხს წარუდგინოს. იგი განიცდის XIX საუკუნეში გაბატონებული დოქტრინის გავლენას, რომლის მიხედვით, პარლამენტი უზენაესი ორგანოა, რომელიც „მთელი ხალხის და სახელმწიფოს სახელით მოქმედებს და ლაპარაკობს“. ამ შინაარსის დებულებას შეიცავს პირველი კონსტიტუციის 52-ე მუხლი, რომლის მიხედვით, „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას“.

12. გაზეთი „ერთობა“, 1920 წელი, 24 დეკემბერი.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია, უმაღლესი აღმასრულებელი ორგანიზაციის, კერძოდ კი, მმართველობის საპარლამენტო სისტემის საკითხში, მთლიანად იზიარებს რაჟდენ არსენიძის შეხედულებებს: „პასუხისმგებელი სამინისტრო ანუ პარლამენტარიზმი“, „ჩვენ გვინდა სამინისტრო თვითონ პარლამენტისგან არჩეული და მის წინაშე პასუხისმგებელი“.

ემიგრაციაში ყოფნის დროს რაჟდენ არსენიძის მოღვაწეობას ქართული სამართლის ისტორიის ძეგლებისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი ამკობს. საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა მან 1963 წელს მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობას. ავტორმა მოკრძალებულობა გამოიჩინა და ამ ნაშრომის სათაურში „განხილვა“¹³ იკმარა. თუმცა, მხოლოდ განხილვა კი არა, არამედ მეცნიერული ნაშრომი ქართული სამართლებრივი აზროვნების გვირგვინად წოდებული ძეგლის თაობაზე. მისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომების გამოცემით არ შემოიფარგლებოდა. ის ამ საკითხებზე ლექციებს კითხულობდა პარიზში და ამით ქართულ სამართლებრივ მეცნიერებას უცხოეთში დიდ პოპულარობას უწევდა.

ქართულმა სახელმწიფომ დროა ღირსეულად დააფასოს რაჟდენ არსენიძის თვალსაჩინო წვლილი ქართული სამართლებრივი და პოლიტიკური აზროვნების, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართული სახელმწიფოს განვითარება-განმტკიცებაში. იმედია, თბილისის საკრებულო კვლავ გამოიჩენს განსაკუთრებულ ინტერესს ქვეყნის წინაშე სამშობლოს ერთგულებისათვის თავმიძღვნილი მამულიშვილის ფასდაუდებელი ღვაწლის მიმართ და თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭებს მის სახელს.

ბექა ქანთარია

სამართლის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
კონსტიტუციური დემოკრატიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
ხელმძღვანელი

13. განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა. პარიზი. 1963.



როგორ იქნა მოგზადაული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა

თებერვალ-მარტის რევოლუციას ბოლშევიკებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს. მათ მთავრობა იარაღით ჩაიგდეს ხელში ხალხის დიდი უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ. ეს გამოჩნდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, რომელიც მათ განახორციელეს მთავრობაში ჩადგომის შემდეგ. მიუხედავად ბოლშევიკური ძალმომრეობისა, ხალხის დიდმა უმრავლესობამ მათ უნდობლობა გამოუცხადა. დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკი დეპუტატები იყვნენ ერთ მესამედზე ნაკლები. დიდი უმრავლესობა კი იმათი მოწინააღმდეგე სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები და სხვა პარტიების წარმომადგენლები იყვნენ.

ბოლშევიკებმა გადადგომის მაგიერ დამფუძნებელი კრება გარეკეს და უმცირესობის დიქტატურა გამოაცხადეს. აქედან დაიწყო ანარქია და სამოქალაქო ომი მთელს რუსეთში. მხოლოდ კავკასიის ერებმა შეძლეს არეულობის თავიდან აცილება, რადგან მათთან ბოლშევიკებს თითქმის არანაირი გავლენა არ ჰქონდათ. სამი ყველაზე მრავალრიცხოვანი ერის – ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების წარმომადგენლებისაგან შეიქმნა ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც მუშათა და გლეხთა საბჭოებთან შეთანხმებით მართავდა ქვეყანას. მალე დამფუძნებელი კრების არჩევნების საფუძველზე თბილისში შექმნილი იქნა საკანონმდებლო ორგანო „ამიერკავკასიის სეიმი“, რომელიც შეუდგა სოციალისტური რეფორმების გატარებას. სეიმმა შესძლო შინაური წესრიგის დამყარება და ოტომანის საზღვრებიდან წამოსული გაბოლშევიკებული ჯარისაგან მოსალოდნელი დარბევა ქვეყანას თავიდან ააცილა.

მაგრამ რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ საგარეო ორიენტაციის საკითხებმა და გარეშე ძალების ზეგავლენამ კავკასია ერთობის გზას ააცილა და მოშალა იგი.

აი, ასეთ პირობებში, 1918 წლის 25 მაისს, ეროვნულმა საბჭომ, რომელიც საქართველოს ყველა პარტიის თვითმმართველობების, კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან იყო შექმნილი, დაადგინა, გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩამოაყალიბოს საკუთარი მმართველობა, რათა მტერსა და მოყვარეს გასცეს პასუხი. ამ მიზნით მან გამოყო საკანონმდებლო კომისია, რომელსაც დაავალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის მომზადება.

ეს კომისია შეიკრიბა იმავე დღეს. ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაობა. ვჩქარობთ, რადგან ეროვნული საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავის თავზე აიღო ამ ისტორიული მისიის შესრულება. ვჩქარობთ, მაგრამ არ შეიძლება აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის დიად დანიშნულების; უნდა აღინიშნოს ხომ უფლებები ახალ დაბადებული მოქალაქის; უყურადღებოთ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომლებიც ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე ეს უნდა ითქვას მოკლედ, მოჭრით, მკაფიოდ. ამიტომ თვითეული სიტყვა იწვევს დავას, კამათს, აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს ბრძოლა და ჯახი თავდება მორიგებით, ერთსულოვნებით; რაც მიღებულია – მიღებულია ყველასაგან. განხეთქილებას და გულნაკლულობას აქ, ამ დიად გადამწყვეტ მომენტში, არ უნდა დაურჩეს ადგილი. ამას ვგრძნობდით ყველა, თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახევია... ვიბრძვით და ვჩქარობთ, რადგან ოტომანის პორტისაგან 72 საათიანი ულტიმატუმი გვაქვს წამოყენებული, რომელსაც ხვალ საღამომდე გაუდის ვადა. ამიერკავკასიას წინააღმდეგობისა და პასუხის გაცემის უნარი აღარ აქვს. ოტომანის იმპერია კი იარაღით გვადგია თავზე. სამარცხვინო ბრესტ-ლიტოვსკის ზავით და რუსის ჯარის დაშლით გათამამებული – ყარსის, ბათუმის, არდაგანის ოლქების ჩამოცილებით გვემუქრება.

ყველა პარტიაში ერთსულოვანი თანხმობაა დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში. მაგრამ ხალხის ხმის მოსმენა მაინც საჭიროა, რომელსაც უზომოდ დიდი გავლენა აქვს მთელ ერში, შეკითხვას უგზავნის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას, რომლებიც ხალხთან ახლოს არიან. მათი აზრის წინასწარი მოსმენა სავალდებულოდ მიაჩნია; და ყველა კუთხიდან, ყველა ქალაქიდან, ყველა მაზრიდან მოდის ერთსულოვანი პასუხი:

თანახმა ვართ!

თქვენთან ვართ!

დამოუკიდებლობა საქართველოს!

ასეთივე პასუხი მოდის ყველა პარტიებიდანაც. ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იგებს პირველ რეფერენდუმს.

ეს იყო 25 მაისს, 1918 წელს, დღით შაბათს. კომისიაში მოგვდის ეს ცნობები, გვიხარია და მეტი ენერგიით ვაგრძელებთ მუშაობას. შელამდა... ვერ დაგვისრულებია შრომა... ვიკრიბებით ნავახშმევს და ისევ ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყოველ აზრს ჩავკირკიტებთ; ხოლო ეროვნული საბჭოს ბიურო, მისი პრეზიდიუმი, გვიცდის, ელის ჩვენგან შემუშავებულ პროექტს, რომ საბოლოო ტექსტი მიიღოს და ხვალ საბჭოს წინაშე წარადგინოს. შუალამეზე ვათავებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი გიორგი გვაზავა და პავლე საყვარელიძე მიემუშაობიან საბ-



ჭოს ბიუროს სხდომაზე, რომ ამდღამვე დაამთავრონ ეს საშური, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა.

ნაშუადამევეს ბიურო იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოო რედაქციას და კვირას, 26 მაისს, იგი საჯაროდ ცხადდება სასახლის თეთრ დარბაზში.

ვის სცალოდა იმ ჟამად კომისიის ოქმების შედგენაზე და მათ შემოწმებაზე ფიქრი და ზრუნვა! იწერებოდა კი, მაგრამ არ ვიცი, ინახებოდა იგი სადმე თუ გადაყლაპა დროთა უკუღმართობამ. ამიტომ გაწვდით ამ ცნობებს. იმათგან, ვინც ამ აქტის, აწ ისტორიულ აქტად ქცეულის შედგენაში და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და რომელთა სახელები მეხსიერებამ შემინახა, აღარავინ მეგულება ცოცხალთა შორის. თითქმის ყველა წინაპართა პანთეონს შეუერთდა. ამათგან ორი სახელი მინდა მოვიხსენო:

კოტე აფხაზი, დიდი გონიერი პატრიოტი, რომელიც ინიციატორი იყო თავად-აზნაურობის მთელი ქონების ქართველი ერისათვის გადაცემის, რითაც მოუმზადა ნივთიერი და ორგანიზაციული საფუძველი ჩვენი ერის აღორძინებას. მან წამებით დაიდგა უკვდავების გვირგვინი საქართველოს 26 მაისისათვის ბრძოლაში.

საქართველოს დიდი პრეზიდენტი – ნოე ჟორდანიას, დამოუკიდებლობის აქტის გამომცხადებელი, რომელიც 1953 წლის იანვარში მოგვტაცა უღმობელმა სიკვდილმა. ჩავისახოთ გულში მათი ხსოვნა და მათი სახელები. ღრმა განცდებით, მაგრამ უდრეკი რწმენით და გაბედულებით ვუდგებოდით ორიათასი წლის დამოუკიდებელი არსებობის განახლების მომენტს ასჩვიდმეტი წლის უსახელმწიფოდ ყოფნის შემდეგ. დიდია ჩვენი განცდა, დღესაც, როცა ამ წამებს ვიგონებ. მაშინ ერმა თავისი გაიტანა. საფრთხისაგან თავი იხსნა მით, რომ თავისი თავის პატრონი გახდა. გვწამს, იხსნის დღესაც თავის თავს კომუნიზმის უმსგავსო თარეშისაგან.

რაჭონ არსენიძე

საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი

25 მაისი, 1958 წელი, მიუნხენი